ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის ანგარიში 2024 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

ინფრასტრუქტურის და კეთილმოწყობის სამსახური შეისწავლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ინფრასტრუქტურულ პრობლემებს, განსაზღვრავს პრიორიტეტულ მიმართულებებს, სამსახური აწარმოებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ინფრასტრუქტურული ობიექტების მოვლა-პატრონობის სამუშაოებს, ამზადებს დასკვნებს და რეკომენდაციებს მუნიციპალიტეტის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის შესახებ, ასევე მონაწილეობს სამსახურის დებულებით განსაზღვრულ სხვა საკითხების მოგვარებაში.

რეგიონალური განვითარების პროექტების ფონდი

2024 წელი

2024 წელს ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად, რეგიონალური განვითარების პროექტების ფონდიდან საქართველოს მთავრობის N2402 (28.12.2023) განკარგულებით ხარაგაულის მუნიციპალიტეტს პირველი და მეორე ეტაპით ჯამში გამოეყო 6 051 271 ლარი, დაფინანსდა 36 პროექტი. დაფინანსებული 36 პროექტიდან 32 იყო გარდამავალი 2023-2024-2025 წლები. აღსანიშნავია, რომ ტენდერების გამოცხადება მოხდა ძალიან სწრაფად, შესაბამისად სწრაფადვე მოხდა ხელშეკრულებების გაფორმება. რის გამოც მუნიციპალიტეტმა მიიღო დამატებით ბონუსი ტენდერებიდან წარმოქნილი ეკონომიებთან ერთად რამაც საშუალება მოგვცა განგვეხორციელებია დამატებით სამუშაოები სოფელ ჯაფაროულის საუბნო გზაზე. აღნიშნული გამოწვეულია მერიის შესაბამისი სამსახურების კარგი მუშაობის შედეგად, კერძოდ: საჭიროებისამებრ დროულად მოხდა პროექტების გამოყოფა, გადაფასება და სატენდეროდ მომზადება. პირველი ეტაპზე შერჩეული 36 პროექტიდან 36 პროექტი დასრულდა გეგმა-გრაფიკის შესაბამისად 2024 წელს. პროექტების მიმდინარეობისას, სამსახურის და კომისიის მიერ აქტიურად მიმდინარეობდა ზედამხედველობა როგორც ხელშეკრულების ვადების, ასევე

ხარისხის დაცვის მიზნით. აუცილებლად აღსანიშნავია ფაქტი რომ პროექტები რომლებიც უნდა დასრულებულიყო 2025 წელს უმეტესობა შესრულდა წინსწრებით 2024 წელში. წინსწრებით შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 3 100 000 ლარამდე, აღნიშნული თანხის გამოყოფაზე მოთხოვნა წარედგინება შესაბამის სამინისტროს, გამოიყო თანხის ნაწილი 1 100 000 ლარი, რამაც მოგვცა საშუალება 2025 წლის პროექტებში 1 100 000 ლარის გამოთავისუფლებისა, რამაც მუნიციპალიტეტს მიცა საშუალება 2025 წელს მეტი ახალი პროექტების განხორციელებისა. ასევე წინსწრებით შესრულდა სამუშაოები სხვა პროექტებზეც რომლებიც ასევე წარედგინა შესაბამის სამინისტროს თანხის მოთხოვნაზე.

2024 წელს რეგ.ფონდიდან გამოყოფლი თანხის მთლიანმა რაოდენობამ შეადგინა 8 398 103 ლარმა, რაც თითქმის 2 000 000 ლარით მეტია წინა წელს გამოყოფილ თანხაზე. წლის ბოლოს დაგეგმილი შესრულებული სამუშაოების საკასო შესრულებამ შეადგინა 100% ასევე დამატებით იქნა შესრულებული დაგეგმილი სამუშაოების ნახევარზე მეტი. აქტიურად ხდება ახალი პროექტების დაგეგმვა-მომზადების პროცესი 2025 წლისათვის, რამდენიმე წლიანი წარმატებით განხორციელებული პროექტების გამო მუნიციპალიტეტს მომავალი წლის ლიმიტი გაეზარდა 26%-ით რაც საშუალებას იძლევა მოხდეს დამატებით პროექტების განხორციელება. აღნიშნული ზრდის პროცენტით მოწინავეა მუნიციპალიტეტებს შორის.

N	2024 წელს დაგეგმილი პროექტების დასახელება	პროექტის კატეგორია	ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსება	რეგ.ფონდი	სულ
1	სოფელ უბისაში საუბნო გზის რეაბილიტაცია	გზა	0.00	311,226.00	311,226.00
2	სოფელ ლახუნდარაში გზის რეაბილიტაცია (კავილაძეების უბანი)	გზა	0.00	200,125.00	200,125.00
3	სოფელ კიცხში ოქრომჭედლიძეების საუბნო გზის რეაბილიტაცია	გზა	0.00	66,465.00	66,465.00
4	ღორეშა-მარიამწყაროს გზის რეაბილიტაცია (III ეტაპი)	გზა	0.00	220,000.00	220,000.00
5	სოფელ ხორითის ცენტრალური გზის რეაბილიტაცია (II ეტაპი)	გზა	0.00	225,000.00	225,000.00
6	სოფელ ნებოძირში ცენტრალური გზის რეაბილიტაცია (II ეტაპი)	გზა	0.00	200,000.00	200,000.00
7	სოფელ ბაზალეთში ლომსაძეების საუბნო გზის რეაბილიტაცია	გზა	0.00	150,000.00	150,000.00
8	სოფელ ვარძიაში საუბნო გზის რეაბილიტაცია (საუბნო გზები 2 უბანში)	გზა	0.00	400,000.00	400,000.00

9	სოფელ ღუდუმექეთში გზის რეაბილიტაცია (კახორის ეკლესიამდე მისასვლელი გზა)	გზა	0.00	200,000.00	200,000.00
10	სოფელ ლახუნდარაში გზის რეაბილიტაცია (მელქაძეების უბანი)	გზა	0.00	200,000.00	200,000.00
11	სოფელ ბორითში საუბნო გზების რეაბილიტაცია	გზა	0.00	300,000.00	300,000.00
12	სოფელ ვაშლევში გზის რეაბილიტაცია	გზა	0.00	200,000.00	200,000.00
13	სოფელ წაქვაში გზის რეაბილიტაცია	გზა	0.00	200,000.00	200,000.00
14	სოფელ ჯაფაროულში საუბნო გზის რეაბილიტაცია	გზა	0.00	138,333.00	100,000.00
15	სოფელ კიცხში საუბნო გზის რეაბილიტაცია (II ეტაპი)	გზა	0.00	483,000.00	483,000.00
16	სოფელ ხუნევში გზის რეაბილიტაცია (გუბათის უბანი II ეტაპი)	გზა	0.00	145,000.00	145,000.00
17	სოფელ ლეღვანში საუბნო გზის რეაბილიტაცია (კაჟნარი-კოდაბოლოს უბანი)	გზა	0.00	250,000.00	250,000.00
18	სოფელ თეთრაწყაროში სპორტული მინი მოედნის მშენებლობა	სპორტული მოედანი	0.00	198,700.00	198,700.00
19	ბორი-საქარიქედის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია	გზა	0.00	254,035.00	254,035.00
20	სოფელ ვახანში საუბნო გზის რეაბილიტაცია (ელაზნაურის და არევაძის უბანი)	გზა	0.00	350,000.00	350,000.00
21	სოფელ ხუნევში საუბნო გზის რეაბილიტაცია (ეკლესიის უბანი)	გზა	0.00	155,000.00	155,000.00
22	დაბა ხარაგაულში დაზიანებული გზის რეაბილიტაცია	გზა	0.00	151,080.00	151,080.00
23	სოფელ ღარიხევში გზის რეაბილიტაცია (ჭილოფის უბანი)	გზა	0.00	210,000.00	210,000.00
24	სოფელ საღანძილის საუბნო გზის რეაბილიტაცია (მაღლამინდორის უბანი)	გზა	0.00	223,661.00	223,661.00
25	სოფელ ხიდარში საუბნო გზის რეაბილიტაცია	გზა	0.00	120,000.00	120,000.00
26	დაბა ხარაგაულში შემოვლითი გზის რეაბილიტაცია	გზა	0.00	350,752.00	350,752.00
27	სოფელ ღუდუმექეთში საუბნო გზის რეაბილიტაცია	გზა	0.00	87,227.00	87,227.00
28	სოფელ ლაშეში საუბნო გზის რეაბილიტაცია	გზა	0.00	100,000.00	100,000.00
29	სოფელ ჩხერში გზის რეაბილიტაცია	გზა	0.00	100,000.00	100,000.00
30	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ღორეშაში საუბნო გზის რეაბილიტაცია	გზა	50,000.00	150,000.00	200,000.00
31	სოფელ უბისაში საუბნო გზის რეაბილიტაცია	გზა	0.00	150,000.00	150,000.00
32	სოფელ მაქათუბანში გზის რეაბილიტაცია (კურტანიძეების უბანი)	გზა	50,000.00	91,000.00	141,000.00
33	სოფელ ბაზალეთში საუბნო გზის რეაბილიტაცია	გზა	0.00	139,000.00	139,000.00

34	დაბა ხარაგაულში მრავალბინიანი სახლების ეზოების და ფასადის რეაბილიტაცია	მრავალბინიანი სახლი	127,737.52	100,000.00	227,737.52
35	სოფელ ღარიხევში საუბნო გზის რეაბილიტაცია	გზა	0.00	150,000.00	150,000.00
36	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ პატარა ვარძიაში გზის რეაბილიტაცია (დვლების უბანი)	გზა	50,000.00	170,000.00	220,000.00
			277,737.52	**7,139,604.00**	**7,379,008.52**

ჯამში, დაფინასებული 36 პროექტი, ძირითადად მოიცავს გზების რეაბილიტაციას 1 პროექტი მიეკუთვნება სპორტულ ინფრასტრუქტურას რომლის ფარგლებში ეწყობა ახალი მინი მოედანი და 1 პროექტი მოიცავს მრავალბინიანი სახლების ეზოების რეაბილიტაციას. პროექტის ფარგლებში მოხდება თაბუკაშვილის და დეკანოსიძის ქუჩაზე მდებარე კორპუსების ეზოების რეაბილიტაცია.

მაღალმთიანი

2024 წელს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან ხარაგაულის მუნიციპალიტეტს საქართველოს მთავრობის 19 აპრილის N550 განკარგულებით გამოეყო 500 000 ლარი, დაფინანსდა 2 პროექტი:

N	2024 წელს დაგეგმილი პროექტების დასახელება	მთის ფონდი
1	სოფელ წიფაში საუბნო გზის რეაბილიტაცია	200,000.00
2	ზვარის ა/ერთეულში საუბნო გზების რეაბილიტაცია (ჭენჭეხის უბანი, ორთოიძეების უბანი, ჩრდილი)	300,000.00
		500,000.00

ორივე პროექტზე გაფორმდა გარდამავალი ხელშეკრულება რომლის ჯამურმა ღირებულებამ მიაღწია 986 577 ლარს, 2024 წელს უნდა მომხდარიყო 500 000 ლარის ღირებულების სამუშაოების განხორციელება 2025 წელს კი პროექტის დასრულება. მოხდა

სამუშაოების წინსწრებით ორივე ეტაპის დასრულება სოფელ ზვარეში, რის გამოც მუნიციპალიტეტს დაემატა თანხა ფონდიდან და გამოყოფილი თანხის ოდენობა გაიზარდა 907 777 ლარამდე, რაც მუნიციპალიტეტს საშუალებას მისცემს 2025 წელს მოახდინოს დამატებით სხვა პროექტების განხორციელება.

სოფლის პროგრამა

2024 წელს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ხარაგაულის მუნიციპალიტეტს პროექტების განსახორციელებლად გამოეყო 890 000 ლარი, სამუშაოების მოცულობების გაზრდის მიზნით ადგილობრივი ბიუჯეტიდან მოხდა თანადაფინანსება 144 000 ლარი, ჯამში სოფლის პროექტების ღირებულებამ შეადგინა 1 034 000 ლარი. პროექტების შერჩევის მიზნით ყველა სოფელში ჩატარდა კრებები. მოსახლეობის მიერ შეირჩა 145 პროექტი, მათ შორის გზების 38 პროექტი - 225 000 ლარი, გარე განათების 35 პროექტი - 220 100 ლარი, წყლის სისტემები 39 პროექტი – 144 500 ლარი, რამდენიმე სოფელმა მოსახლეობის თხოვნით მოითხოვა 1 საერთო პროექტის განხორციელება რომელიც ითვალისწინებდა ამბულატორიის შენობის დასრულებას. 15 პროექტი სასაფლაოს კეთილმოწყობა 85 000 ლარი, სხვადასხვა კატეგორიის 17 პროექტი. სამსახურმა ხარისხის კონტროლის გაუმჯობესების მიზნით შეიმუშავა წესი, რომელიც ითვალისწინებს სამუშაოების ჩაბარებისას, კომისის მიერ ობიექტის შემოწმებას ესწრება მოსახლეობა და სოფლის დეპუტატი რომლებიც ხელს აწერენ ადგილზე შედგენილ აქტს.

სტიქია

2024 წელს სტიქიამ მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა მუნიციპალიტეტს. დაზიანდა როგორც კერძო მოსახლეობა ასევე საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურული ობიექტები. თანხის გამოყოფა მოხდა რამდენიმე ეტაპად ჯამში 1 625 000 ლარი. განხორციელდა 22 პროექტი, რომელთაგან 20 პროექტი დასრულებულია საკასო ხარჯით. 2 პროექტზე ზამთრის პერიოდის გამო შეფეხებით მიმდინარეობს სამუშაოები. 2024 წელს ძლიერი ქარის შედეგად დაზარალებულ მოქალაქეებს დაზიანებული სახურავების აღსადგენად გადაეცათ ხე-მასალა (ფიცარი,კოჭი) და პროფნასტილი ჯამში 17 000კვმ. დაკმაყოფილდა 130 ოჯახი.

N	2024 წელს დაგეგმილი პროექტების დასახელება	სტიქიის ფონდი

1	ხარაგაულის მუნიციპალიტეტში სტიქიის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლების სახურავისათვის საჭირო ხის მასალის (ხის კოჭი (14*7სმ) (+-0.5 სმ) 3 ან/და 6 მეტრიანი) შესყიდვა.	80,580.00
2	ხარაგაულის მუნიციპალიტეტში სტიქიის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლების სახურავისათვის საჭირო ხის მასალის (დაფინვის ფიცარი 3*15 სმ (+-0.3 სმ) 3 ან/და 6 მეტრიანი) შესყიდვა.	85,000.00
3	ხარაგაულის მუნიციპალიტეტში მომხდარი სტიქიის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლების სახურავების სარეაბილიტაციოდ საჭირო პროფილირებული ფერადი სახურავის შესყიდვა.	244,390.00
4	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ნუნისში სტიქიისგან დაზიანებულ გზაზე საყრდენი კედლის/გაბიონის მოწყობა	64,031.00
5	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩრდილში სტიქიისგან დაზიანებულ გზაზე საყრდენი კედლის/გაბიონის მოწყობა	228,892.00
6	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ წყალაფორეთში სტიქიისგან დაზიანებულ გზაზე საყრდენი კედლის/გაბიონის მოწყობა	8,748.00
7	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ლახუნდარაში სტიქიისგან დაზიანებულ გზაზე საკრდენი კედლის/გაბიონის მოწყობა	104,860.00
8	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩალხაეთში საფეხმავლო ხიდის მოწყობა	24,802.00
9	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ სარგვეშში სტიქიისგან დაზიანებულ გზაზე საყრდენი კედლის/გაბიონის მოწყობა	41,344.00

10	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ საბეში ხიდ-ბოგირის მოწყობა	35,445.00
11	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიდარში სტიქიისგან დაზიანებულ გზაზე საყრდენი კედლის/გაბიონის მოწყობა	76,748.00
12	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ბორითში სტიქიისგან დაზიანებულ გზაზე საყრდენი კედლის/გაბიონის მოწყობა	30,727.00
13	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ვაშლევში საფეხმავლო ხიდის მოწყობა	55,583.00
14	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ საქასრიაში სტიქიისგან დაზიანებულ გზაზე საყრდენი კედლის/გაბიონის მოწყობა	4,826.00
15	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ღორეშაში საფეხმავლო ხიდის მოწყობა	54,240.00
16	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ლეღვანში სტიქიისგან დაზიანებულ გზაზე საყრდენი კედლის/გაბიონის მოწყობა	72,286.00
17	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ მარელისშიში სტიქიისგან დაზიანებულ გზაზე ხიდ-ბოგირისა და გაბიონის მოწყობა	25,290.00
18	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ისლარში 2 ლოკაციაზე სტიქიისგან დაზიანებულ გზაზე საყრდენი კედლის/გაბიონის მოწყობა	125,992.00
19	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ იგორეთში (ლაშე) სტიქიისგან დაზიანებულ გზაზე საყრდენი კედლის/გაბიონის მოწყობა	31,429.00

20	დაბა ხარაგაულში გრიშაშვილის ქუჩაზე დაზიანებული წყალგამტარის აღდგენა	14,398.00
21	ხარაგაულის მუნიციპალიტეტში სოფ. მაქათუბანში გზის დაზიანებული მონაკვეთების გამაგრებისა და სოფ. ნადაბურში გზის დამცავი ნაგებობის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა.	215,030.00

2024 წელს სტიქიამ (ძლიერმა ქარმა და წვიმამ) ისევ დააზარალა როგორც კერძო მოქალაქეების კუთვნილი შენობა-ნაგებობები ასევე მუნიციპალური საგზაო ინფრასტრუქტურაც შიქმნა კომისია რომელმაც იმუშავა ზარალის დადგენაზე მთელი მუნიციპალიტეტის მაშტაბით: შესწავლილი იქნა 130 მოქალაქის კერძო საცხოვრებელი სახლი, მეწყერსაშიში ზონებიდან სხვადასხვა სოფლებში მოხდა 23 ოჯახის გასახლება ქირით უსაფრთხო ზონაში რეკომენდაციების მიზნით კი მიემართა გეოლოგიის დეპარტამენტს, ასევე დაზიანდა ადმინისტრაციული შენობები და სხვა საგზაო ინფრასტრუქტურა, იდენთიფიცირებული იქნა 49 მეწყერი რომლებიც იწმინდებოდა მყისიერად.

მოქალაქეთა ჩართულობა

,,მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ხელშეწყობის“ ინიციატივის განხორციელების მიზნით 2024 წლის 23 ივლისის N1025 განკარგულებით ხარაგაულის მუნიციპალიტეტს გამოეყო 222 610 ლარი, სამუშაოების მოცულობის გაზრდის მიზნით მოხდა თანადაფინასების განსაზღვრა ადგილობრივი ბიუჯეტიდან 157 884 ლარით ჯამში 380 494 ლარი. დაფინანსდა 30 პროექტი რომლებიც ინიცირებული იყო მოქალაქეების მიერ და საჭირო იყო პრობლემის სწრაფად მოგვარება:

1	დაბა	ტროტუარი	დაბაში, სოლომონ მეფის ქუჩაზე, ფეხით მოსიარულეთა ბილიკის(ტროტუარის) მოწყობა (ყოფილი უნივერმაღის შენობიდან, კინოთეატრის შენობამდე)	49,282
2	დაბა	კალაპოტის წმენდა	დაბაში მდინარე ჯიხველას კალაპოტის გაწმენდის სამუშაოების შესყიდვა	13,022
3	ბაზალეთი	ხიდი	სოფელ ბაზალეთში მდინარე ჩხერიმელაზე დაზიანებული საფეხმავლო ბონდის რებილიტაციის სამუშაოების შესყიდვა	6,122

4	ლახუნდარა	პროექტირება	სოფელ ლახუნდარაში ჭაბურღილის მოსაწყობად საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომსახურეობის შესყიდვა	320
5	ლახუნდარა	წყალი	სოფელ ლახუნდარაში ჭაბურღილის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა	16,000
6	ლაშე	წყალი	სოფ ლაშეში წყლის სისტემის მოწყობა	3,435
7	ხუნევი	გზა	ხუნევის ა/ე-ში გედსამანიაში საუბნო გზის შეკეთება	3,000
8	ლაშე	გზა	ლაშის ა/ე-ში ლაშეში საუბნო და სასოფლო გზების შეკეთების სამუშაოების შესყიდვა	22,669
9	საბე	გზა	სარგვეშის ა/ე-ში საბეში საუბნო გზის შეკეთება	5,694
10	ლახუნდარა	წყალი	წყალაფორეთის ა/ე-ში ლახუნდარაში (სამხარაძეების უბანი) ჭაბურღილის მოწყობა	29,744
11	ბორითი	გზა	ბორითის ა/ე-ში სოფ. ბორითში გრიგოლ ბარბაქაძის საუბნო გზის გაწმენდა და სოფ მაქათუბანში ზუმბაძეების საუბნო გზის შეკეთება	5,701
12	წიფა	გზა	წიფის ა/ე-ში სოფ წიფაში გზების შეკეთების სამუშაოების შესყიდვა	4,368
13	კიცხი	გზა	კიცხის ა/ე-ში სოფ კიცხში ავალიშვილების საუბნო გზის და იგორეთ-საქარიქედისსასოფლო გზის შეკეთება	8,614
14	თეთრაწყარო	გზა	კიცხის ა/ე-ში სოფ თეთრაწყაროში საუბნო გზის შეკეთება	10,403
15	მაქათუბანი	გზა	ბორითის ა/ე-ში სოფ მაქათუბანში გზების შეკეთების სამუშაოების შესყიდვა	3,204
16	ხევი	გზა	ხუნევის ა/ე-ში ხევში წაქვაში ვერტყვილასა და ბჯინევში გზის გაწმენდა შეკეთება	5,501
17	ხარაგაული	პროექტირება	სოფ. მარელისის,ლეღვნის, ზვარის და ბორითის ა/ე-ში გზების შეკეთების საპროექტო- სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის	225
18	ვახანი	წყალი	სოფ. ვახანში წყლის სისტემის მოსაწყობად ქვიშა-ხრეშოვანი ნარევის შეძენა	1,676
19	ლეღვანი	გზა	სოფ ლეღვანში ვეფხვაძეების და ბურჯანაძეების გზის შეკეთება და მარელისში გზის შეკეთება	16,792
20	წიფა	გზა	სოფ წიფაში გზების შეკეთების სამუშაოების შესყიდვა	1,549
21	ზვარე	გზა	სოფ ზვარეში და ჩრდილში გზების შეკეთების სამუშაოები	2,949
22	ხარაგაული	ელ. კამერები	ცენტრალურ საავტომობილო გზაზე ვიდეო კამერების ელ. სადენის მოწყობის მონტაჟის სამუშაოს შესყიდვა	22,050
23	ლახუნდარა	წყალი	წყალაფორეთის ა/ე-ში ლახუნდარაში ჭაბურღილის სარემონტო სამუშაოების შესყიდვა	15,000

24	კიცხი	ბაღი	სოფ. კიცხში ახალ აშენებული საბავშვო ბაღისთვის ავეჯის შესყიდვა	44,600
25	კიცხი/საღანძილე	ბაღი	სოფ კიცხსა და საღანძილეში საბავშვო ბაღისთვის ფარდა-ჟალუზების მონტაჟი	4,929
26	დაბა	პროექტირება	დაბაში კინოთეატრის სკვერის მოწყობის საპროექტო სახარჯთაღრიცხვა დოკუმენტაციის შესყიდვა	1,000
27	კიცხი	სანიაღვრე	კიცხის საბავშვო ბაღთან სანიაღვრე არხის მოწყობა	4,278
28	ფარცხნალი	გზა	ფარცხნალის ა/ე-ში ბოღოღიანში სასოფლო გზის შეკეთება	4,512
29	ხარაგაული	გზა	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 24-25 წლებში საუბნო გზების შეკეთება	54,880
30	საღანძილე/ჩხერი	გზა	სოფ. საღანძილეში საუ. გზის შეკეთება და ჩხერში სამანქანო ხიდზე მოცურების საწ. ბარიერის მოწყობა	18,975

განკარგულების პროექტი

სამსახურის მიერ წლის დასაწყისში მოხდა 2014 წლიდან სხვადასხვა ფონდებიდან დარჩენილი ეკონომიების და ნაშთების ათვისების მიზნით ახალი განკარგულების პროექტის მომზადება, გაიგზავნა მოთხოვნა შესაბამის უწყებაში, რის შემდეგაც მუნიციპალიტეტს მიეცა უფლება ეკონომიის დარჩენილი თანხებით განეხორციელებიათ შემდეგი პროექტები:

1.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ლაშეში ხიდის შეკეთება

2.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ დეისში ხიდის შეკეთება-მოწყობა

3.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ საღანძილეში ხიდის მოწყობა

4.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ მაქათუბანში ხიდის მოწყობა-შეკეთება

5.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედუბანში ხიდის მოწყობა-შეკეთება

6.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ უბისაში ხიდის მოწყობა-შეკეთება

7.სოფელ გედსამანიაში ცხაურის მოწყობა

8.სოფელ თეთრაწყაროში სანიაღვრე არხის მოწყობა

9.სოფელ საქარიქედში გზის რეაბილიტაცია

10.სოფელ სარგვეშში ხიდის შეკეთება-მოწყობა

11.სოფელ კიცხში ხიდის შეკეთება-მოწყობა

12.სოფელ კიცხში სანიაღვრე არხის მოწყობა

13.სოლომონ მეფის ქუჩზე მდებარე მრავალბინიანი სახლის სახურავის შეკეთება

14.დაბა ხარაგაულში სოლომონ მეფის ქუჩის I ჩიხში პარკთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია

15.სოფელ ახალსოფელში გზაზე ცხაურის მოწყობა

აღნიშნულ პროექტების დასრულებულია

სრიგპ

2024 წელს საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფონდში ხარაგაულის მუნიციპალიტეტს წარდგენილი პროექტებიდან გრანტი მოპოვებულია 1 პროექტზე, ჯამში 100 000 ლარი. აღნიშნული პროექტი მოიცავდა ინოვაციების ცენტრის აღჭურვას თანამედროვე ტექნიკით. პროექტი დასრულებულია

ადგილობრივი

2024 წელს ადგილობრივი დაფინასებით ძირითადად განხორციელდა, სტიქიის შედეგად დაზიანებული გადაუდებელი აუცილებლობით აღსადგენი ობიექტები და სამოქალაქო ბიუჯეტის პროექტები რომლებიც უკვე დასრულებულია:

N	2024 წელს დაგეგმილი პროექტების დასახელება	პროექტის ღირებულება

1	ხარაგაულის მუნიციპალიტეტში შემავალ სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულში სტიქიის შედეგად დაზიანებული გზების და სანიაღვრე არხების გაწმენდა/აღდგენის სამუშაოების შესყიდვა.	19,875.00
2	სოფ. საღანძილეში წყაროს რეაბილიტაცია და მიმდებარე სკვერის მოწყობა	27,999.00
3	დაბა ხარაგაულში ფრენბურთის მოედნის ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობა	46,539.00
4	სოფ. ვარძიაში ახალგაზრდული სკვერისა და მემორიალური სივრცის მოწყობა	29,830.00
5	სოფ. მაქათუბანში ფეხბურთის მოედნის მოწყობა	25,344.00
6	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ წიფაში, „ტუპიკის უბანში“, გზის დამცავი საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა.	6,123.00
7	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის დაბის ადმინისტრაციულ ერთეულში, თაბუკაშვილის ქუჩის გასწვრივ, მდინარე ჯიხველას კალაპოტში, მდინარის დინების მარეგულირებელი და დატბორვის საწინააღმდეგო სამუშაოების შესყიდვა	11,350.00
		167,060.00

ადგილობრივი ბიუჯეტის თანხები მობილიზებული იქნა თანადაფინანსებებშიც: 144 ათასი ლარით დაფინანსდა სოფლის მხარდაჭერის პროექტები. 277 737 ლარით მოხდა რგპფ-პროექტების თანადაფინანსება.

ასევე მიმდინარეობს ინოვაციური პროგრამის ,,სამოქალაქო ბიუჯეტი“-ის განხორციელებაც, მოქალაქეების მიერ ხმის მიცემის პრინციპით, ამ ეტაპზე მიმდინარეობს ხმის მიცემის პროცესი პროექტების შერჩევის მიზნით.

მიმდინარეობს აქტიური თანამშრომლობა მუნიციპალური განვითარების ფონდთან და საავტომობილო გზების დეპარტამენტთან. მიმდიარეობს სოფელ ვაშლევის სკოლის რეაბილიტაცია - 2 000 000 ლარი, დასრულების ეტაპზეა სოფელ კიცხში ახალი ბაღის

მშენებლობა 1 278 333 ლარი. აქტიური სამუშაოები მიმდინარეობს ძირულა-ხარაგაული-ფონა-ჩუმათელეთის 25 კილომეტრიან მონაკვეთზე, რომლის სახელშეკრულებო ღირებულება 96 309 126 ლარია. სამუშაოებს ანხორციელებს შპს,,ნიუ როუდი“ სამუშაოები 24 თვეში უნდა დასრულდეს. ასევე მიმდინარეობს სამუშაოები ლიჩი-ნადაბურის დამაკავშირებელ გზის მშენებლობაზე, პროექტის ფარგლებში სოფ ნადაბურში მოეწყობა ხიდი და გზა, აღნიშნული პროექტი დააკავშირებს 2 მუნიციპალიტეტს სამუშაოების ღირებულება შეადგენს 9 876 999 ლარს. სხვადასხვა უწყებებიდან, ჯამში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიმდინარეობს 109 464 458 ლარის სამუშაოები.

ინფრასტრუქტურის და კეთილმოწყობის სამსახური განიხილავს მოქალაქეებიდან შემოსულ განხადებებს საანგარიშო პერიოდში შესწავლილია და შესაბამისი რეაგირება მოყვა 2 123 განცხადებას, სამსახური ორგანიზებას უწევს მუნიციპალური ტრანსპორტის მომსახურეობის საკითხებს, ტრანსპორტი ემსახურება დაბა ხარაგაულს სავადმყოფოს და რკინიგზის სადგურის მიმართულებით, ხევს, ხუნევს, ნადაბურს, ზვარეს, მოლითს და მიმდებარე სოფლებს. სამსახური ასევე იღებს მონაწილეობას მოსწავლეების ტრანსპორტით მოსახურების საკითხებში, მუნიციპალიტეტის ყველა სკოლას ემსახურება ტრანსპორტი 322 მიმართულებაზე რაც თვეში საშუალოდ 129 ათასი ლარის ღირებულებისაა.

სამსახურის სპეციალისტები მონაწილეობენ მუნიციპალიტეტში შექმნილ სხვადასხვა კომისიების და სამუშაო ჯგუფების საქმიანობაში, კოორდინაციას უწევენ გაზიფიცირებისა და ელექტრო ენერგიის გამრიცხველიანებასთან დაკავშირებულ ტექნიკურ საკითხებს (მუნიციპალური საჭიროებებისათვის).

ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახური, მერის დავალებების შესრულების მიზნით, მოქმედებს სამსახურის დებულების შესაბამისად. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას კოორდინირებულად მოქმედებს მერიის სხვა სამსახურებთან, მჭიდროდ თანამშრომლობს საკრებულოსთან და საკრებულოს შესაბამის კომისიასთან, აწარმოებს ოპერატიულ თანამშრომლობას სამხარეო ადმინისტრაციისა და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს შესაბამის სამსახურებთან.